საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2567 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

სურსათში ინდუსტრიული ტრანსიზომერული ცხიმების რეგულირებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი ღონისძიებების დამტკიცების თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფის მიზნით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით:

1. დამტკიცდეს თანდართული „სურსათში ინდუსტრიული ტრანსიზომერული ცხიმების რეგულირებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა და შესაბამისი ღონისძიებები".

2. დაევალოთ „სურსათში ინდუსტრიული ტრანსიზომერული ცხიმების რეგულირებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმითა და შესაბამისი ღონისძიებებით" განსაზღვრულ პასუხისმგებელ ორგანიზაციებს (სამინისტროებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს), უზრუნველყონ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი

სურსათში ინდუსტრიული ტრანსიზომერული ცხიმების რეგულირებასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა და შესაბამისი ღონისძიებები

№	ამოცანა	ღონისძიება	სამიზნე კონტინგენტი	პასუხისმგებელი ორგანიზაცია	პარტნიორები	ვადები
1.	დაინტერესებული მხარეების ინფორმირება	1.1. მოსახლეობის ინფორმირება სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის და ჯანსაღი კვების პრინციპებთან დაკავშირებით	მომხმარებელი (მოსახლეობა)	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო / სსიპ -„ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2016 წლის 1 იანვრამდე, ასევე შემდგომ საჭიროებისამებრ
		1.2. ბიზნესოპერატორების ინფორმირება დაგეგმილ ცვლილებებთან და მათ მიერ შესაბამისი აქტივობების (ახალი რეცეპტურის დანერგვა, მომწოდებლების მოძიება და სხვ.) განხორციელებასთან დაკავშირებით	ბიზნესოპერატო-რები	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო / სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	2016 წლის 1 იანვრამდე, ასევე შემდგომ საჭიროებისამებრ
2	ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის მიზნით სარეგულაციო მექანიზმების სრულყოფა	2.1. სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის, როგორც უვნებლობის მაჩვენებლის, ნორმირება:	ბიზნესოპერატორი მაკონტროლებელი ორგანოები (სსიპ - სურსათის ეროვნული	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2016 წლის 1 აპრილამდე

		სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების ნორმად განისაზღვროს 2 გრ ტრანსიზომერი 100 გრ მცენარეულ ცხიმზე გადაანგარიშებით	სააგენტო და სსიპ - შემოსავლების სამსახური)			
		2.2. ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებსა და ბავშვთა კვების პროდუქტებში, ასევე ბავშვთა ორგანიზებული კვების დაწესებულებებში (სკოლა, საბავშვო ბაღი, სანატორიუმი, ბანაკი, სპორტული სკოლა, ბავშვთა სახლი, ბავშვთა გასართობი ცენტრი სამედიცინო დაწესებულება და ა.შ.) გამოყენებულ სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების არსებობის აკრძალვა	ბიზნესოპერატორები ბავშვთა ორგანიზებული დაწესებულებების ხელმძღვანელები	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუნიციპალიტეტები	2016 წლის 1 აპრილამდე
		2.3. სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის, როგორც უვნებლობის მაჩვენებლის, ეტიკეტზე განთავსების (მითითების) ვალდებულების შემოღება	მომხმარებელი ბიზნესოპერატორი	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სსიპ - შემოსავლების სამსახური	არაუადრეს განკარგულების ამოქმედებიდან 6 თვისა

3	სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობაზე სახელმწიფო კონტროლის სისტემის ამოქმედება	3.1. სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის, როგორც უვნებლობის მაჩვენებლის, ნორმების დაცვაზე კონტროლის განხორციელება	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო / სსიპ - შემოსავლების სამსახური	სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - შემოსავლების სამსახური		(მას შემდეგ, რაც ქვეყანაში შესაძლებელი გახდება შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია ში სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა), მაგრამ არაუადრეს განკარგულების ამოქმედებიდან 6 თვისა
		3.2. სურსათში ინდუსტრიული ტრანსცხიმების შემცველობის ეტიკეტზე განთავსების (მითითების) შესახებ მოთხოვნის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ -სურსათის ეროვნული სააგენტო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო / სსიპ - შემოსავლების სამსახური	სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - შემოსავლების სამსახური		
		3.3. ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ორგანიზებულ კვების დაწესებულებებში გამოყენებული სურსათის კონტროლის განხორციელება	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ -სურსათის ეროვნული სააგენტო	სოფლის მეურნეობის სამინისტრო სსიპ - შემოსავლების სამსახური	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუნიციპალიტეტები	

		ინდუსტრიული ტრანს-ცხიმების შემცველობაზე (როგორც ბაზარზე (მათ შორის საზოგადოებრივი კვების ობიექტში) განთავსებულ, ისე იმპორტირებულ სურსათში, ასევე ბავშვთა ორგანიზებული კვების დაწესებულებებში გამოყენებულ სურსათში)	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო / სსიპ - შემოსავლების სამსახური			